3899-15-2-2-201904041453

N 15-2/3899
04/04/2019

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ შალვა თადუმაძეს

წინადადება

სისხლის სამართლის N1/2636 (გამოძიებაში N007250412002) საქმიდან მტკიცებულებების დაკარგვის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო შალვა,

2018 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს N14589/18 განცხადებით მიმართა მოქალაქე ლ[redacted] ლ[redacted]. განმცხადებლის განმარტებით, მისი შვილის, მსჯავრდებულ ლ[redacted] ლ[redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე[1] თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წერილების თანახმად, ლ[redacted] ლ[redacted] ბრალდების სისხლის სამართლის N1/2636 საქმეში CD და DVD დისკები არ ინახება. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ივნისის წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინებით, სისხლის სამართლის N007250412002 საქმეზე არსებით სხდომაზე განსახილველ მტკიცებულებებად დამტკიცდა ასევე სხვადასხვა CD და DVD დისკები. 2013 წლის 21 იანვარს, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე კი გამოკვლეულ იქნა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი დისკები.

2018 წლის 08 ნოემბრის საქართველოს მთავარი პროკურატურის N13/85128 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სისხლის სამართლის N007250412002 საქმის არსებითი განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მიერ წარდგენილ იქნა CD დისკები, რის შემდეგაც მოხდა მათი გამოკვლევა. დღეის მდგომარეობით, ზემოაღნიშნული დისკები არ ინახება ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებაში. ამავე წერილით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ასევე ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, გამოკვლევის შემდეგ CD დისკები დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, საქმის შენახვის ვადით.

[1] სისხლის სამართლის N1/2636 (გამოძიებაში N007250412002) საქმე ლ[redacted] ლ[redacted] და დ[redacted] ბ[redacted] მიმართ.

2019 წლის 21 იანვრის თბილისის საქალაქო სასამართლოს N576 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ლ[redacted] ლ[redacted] სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა 2012 წლის აგვისტოს თვეში, ელექტრონული წესით. ამ დროს, როდესაც სასამართლოში, მატერიალური სახით, სისხლის სამართლის საქმეები არ შედიოდა, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები ინახებოდა საგამოძიებო ორგანოში და სასამართლოში გამოსაკვლევად პროკურორის მიერ მისი წარმოდგენის შემდეგ, ნივთიერ მტკიცებულებას კვლავ ინახავდა ბრალდების მხარე. როდესაც ელექტრონული პროგრამა გამოირთო და სასამართლოს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა საქმე ეწარმოებინა ელექტრონული წესით, სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნებოდა პროგრამიდან მის გაუქმებამდე ამოღებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლი (თბილისის საქალაქო სასამართლოში ინახება საგამოძიებო ორგანოს მიერ წარმოებული ზემოაღნიშნული საქმის მასალების ასლები, ხოლო დედნები უნდა ინახებოდეს საგამოძიებო ორგანოში). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ[redacted] ლ[redacted] სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული, პროკურორის მიერ წარდგენილი CD და DVD დისკები შენახული იქნებოდა ბრალდების მხარის მიერ. 2013 წლის 21 იანვარის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ გამოკვლევის შემდეგ, პროკურორის მიერ წარმოდგენილი დისკების სისხლის სამართლის საქმეზე დართვა არ მომხდარა. ასევე, საქმის სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოდან საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაგზავნის დამადასტურებელი წერილებიდან ირკვევა, რომ სასამართლოებში გაგზავნილ სისხლის სამართლის საქმეს დისკები არ ერთვოდა. ამავე წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანაშემწის მიერ, თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებას განაჩენი, ნივთიერი მტკიცებულებების ნაწილში აღსასრულებლად, გაეგზავნა 2014 წლის 06 მარტს. დღეის მდგომარეობით, სისხლის სამართლის საქმის მასალებში, საგამოძიებო ორგანოს მიერ განაჩენის აღსასრულებლად მიღებული ზომების შესახებ რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას N17 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა ლ[redacted] ლ[redacted] განმარტა, რომ მას სურს მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დართული CD და DVD დისკებზე დანიშნოს და ჩაატაროს ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა, რომლის შედეგადაც, მსჯავრდებულის მტკიცებით, დადგინდება, რომ CD და DVD დისკებზე არსებულ ვიდეოჩანაწერებში დაფიქსირებული პიროვნება არის სხვა პირი და არა თავად. მსჯავრდებულის განმარტებით, აღნიშნული ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე სურს მიმართოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-312-ე მუხლების შესაბამისად, ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულების შენახვის ვალდებულებას ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას. ამასთან ნივთიერი მტკიცებულებები, რომელიც პროცესის დასრულების შემდეგ არ უბრუნდება მესაკუთრეს, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.[2]

---

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად: „1.ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების

ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე თანდართული CD და DVD დისკების ადგილსამყოფელი დღეის მდგომარეობით დაუდგენელია და აღნიშნული მიზეზით არ გადაეცა მსჯავრდებულს მისი მოთხვნის შესაბამისად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულ ლ[redacted] ლ[redacted] დაცვის უფლებისა და მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

შესაბამისად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების შენახვასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ან/და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების შესაძლო ჩადენას, რასაც შედეგად მოყვა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების განადგურება ან დაკარგვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით დაიწყოთ გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ან/და სასამართლო მოხელეთა მიერ ლ[redacted] ლ[redacted] და დ[redacted] ბ[redacted] ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების განადგურების შესაძლო ჩადენის ფაქტზე, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვა მსჯავრდებულის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.

განხილვის შედეგების შესახებ, გთხოვთ, გვაცნობოთ ამავე კანონით დადგენილ ვადაში.

დანართი: 32 (ოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

შეცვლას. 2.ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. [...] 4.ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ასევე სხვა ადგილას."